შპს „ლოპოტა“ და შვილობილი კომპანია

კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება 7
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 8
საკუთარი კაპიტალის მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 9
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 10

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია 11
2. მომზადების საფუძველი 11
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები 14
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა 15
5. ამონაგები 19
6. მარაგის ხარჯი 19
7. სხვა ხარჯები 20
8. ფინანსური ხარჯი 20
9. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი 20
10. ძირითადი საშუალებები 21
11. იჯარა 22
12. მარაგები 23
13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 23
14. ფული და ფულის ეკვივალენტები 24
15. მიღებული სესხები 24
16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 25
17. პირობითი ვალდებულებები 26
18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 26
19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 27
20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 28

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება 37

ტელ: +995 32 2545 845
ტელ: +995 32 2188 188
www.bdo.ge

თარხნიშვილის ქუჩა 2
ვერე ბიზნეს ცენტრი
0179 თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ლოპოტას“ დამფუძნებლებს და ხელმძღვანელობას,

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ლოპოტას“ და მისი შვილობილი კომპანიის (შემდგომში „ჯგუფი“) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებს, საკუთარი კაპიტალის კონსოლიდირებულ მოძრაობას და ფულადი სახსრების კონსოლიდირებულ მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისგან, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

განსაკუთრებულ გარემოებათა ამსახველი აბზაცი

კორონავირუსის (COVID-19) პანდემიის პრევენციის მიზნით სახელმწიფოს მიერ დაწესებულმა შეზღუდვებმა უარყოფითი გავლენა იქონია ჯგუფის შემოსავალზე, ოპერაციებსა და ფულად ნაკადებზე. ხელმძღვანელობის მოსაზრება საწარმოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებით წარმოდგენილია მე-2 განმარტებით შენიშვნაში. ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული ამ გარემოებასთან დაკავშირებით.

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების მე-15 განმარტებიტ შენიშვნაზე, რომელიც აღწერს რომ ჯგუფს მიღებულ სესხებზე გააჩნია ფინანსური შეზღუდვები, რომელიც ჯგუფმა ვერ შეასრულა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჯგუფს აქვს წერილობითი შეთანხმება ბანკთან რომლის მიხედვითაც ბანკი არ გამოიყენებს სესხის უპირობოდ დაფარვის უფლებას. ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული აღნიშნული გარემოების გამო.

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების პირველ შენიშვნაზე, რომელიც აღწერს, რომ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ჯგუფი ვალდებულია მოამზადოს და წარადგინოს კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება. ჯგუფის შვილობილ კომპანიას 2020 წლის განმავლობაში არ განუხორციელებია არსებითი ოპერაციები და საანგარიშგებო წლის ბოლოს არ ფლობდა არსებით აქტივებსა და ვალდებულებებს განცალკევებულად ან აგრეგირებულად. ჯგუფის 2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არსებითად არ განსხვავდება კომპანიის 2020 წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისგან და შესაბამისად, კონსოლიდირებული ანგარიშგება გამოხატავს კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული.

შპს ბიდიო აუდიტი (ს/კ 205145403) არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის – "ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის" წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვქონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხიმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ

გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონტკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2020 წლის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2020 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;

- 2020 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას; და

- ჯგუფის შვილობილი საწარმო არაარსებითია და სხვაობა ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებას შორის ასევე არის არაარსებითი.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვდენილობაზე და მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032).

შპს „ბიდიო აუდიტის" სახელით

თბილისი, საქართველო

30 ივნისი 2021

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ლოპოტას“ დამფუძნებლებს და ხელმძღვანელობას,

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ლოპოტას“ და მისი შვილობილი კომპანიის (შემდგომში „ჯგუფი“) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებს, საკუთარი კაპიტალის კონსოლიდირებულ მოძრაობას და ფულადი სახსრების კონსოლიდირებულ მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისგან, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

განსაკუთრებულ გარემოებათა ამსახველი აბზაცი

კორონავირუსის (COVID-19) პანდემიის პრევენციის მიზნით სახელმწიფოს მიერ დაწესებულმა შეზღუდვებმა უარყოფითი გავლენა იქონია ჯგუფის შემოსავალზე, ოპერაციებსა და ფულად ნაკადებზე. ხელმძღვანელობის მოსაზრება საწარმოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებით წარმოდგენილია მე-2 განმარტებით შენიშვნაში. ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული ამ გარემოებასთან დაკავშირებით.

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების მე-15 განმარტებიტ შენიშვნაზე, რომელიც აღწერს რომ ჯგუფს მიღებულ სესხებზე გააჩნია ფინანსური შეზღუდვები, რომელიც ჯგუფმა ვერ შეასრულა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჯგუფს აქვს წერილობითი შეთანხმება ბანკთან რომლის მიხედვითაც ბანკი არ გამოიყენებს სესხის უპირობოდ დაფარვის უფლებას. ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული აღნიშნული გარემოების გამო.

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების პირველ შენიშვნაზე, რომელიც აღწერს, რომ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ჯგუფი ვალდებულია მოამზადოს და წარადგინოს კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება. ჯგუფის შვილობილ კომპანიას 2020 წლის განმავლობაში არ განუხორციელებია არსებითი ოპერაციები და საანგარიშგებო წლის ბოლოს არ ფლობდა არსებით აქტივებსა და ვალდებულებებს განცალკევებულად ან აგრეგირებულად. ჯგუფის 2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არსებითად არ განსხვავდება კომპანიის 2020 წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისგან და შესაბამისად, კონსოლიდირებული ანგარიშგება გამოხატავს კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვქონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხიმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ

გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონტკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2020 წლის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2020 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;

- 2020 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას; და

- ჯგუფის შვილობილი საწარმო არაარსებითია და სხვაობა ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებას შორის ასევე არის არაარსებითი.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვდენილობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032).

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

30 ივნისი 2021

შპს „ლოპოტა“ და შვილობილი კომპანია

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები	5	9,158,426	21,553,957
სხვა შემოსავალი		88,010	-
მარაგის ხარჯი	12	(2,501,599)	(4,113,967)
ხელფასი და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(4,150,488)	(6,798,596)
ცვეთა და ამორტიზაცია		(3,474,066)	(3,220,449)
სხვა ხარჯები	7	(2,178,477)	(4,554,229)
საოპერაციო (ზარალი)/ მოგება		**(3,058,194)**	**2,866,716**
ფინანსური ხარჯი	8	(12,434,605)	(5,557,733)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი	9	(78,366)	(111,740)
წლის სრული ზარალი		**(15,571,165)**	**(2,802,757)**

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 30 ივნისს შემდეგი პირების მიერ:

ფინანსური დირექტორი _____ გ. ქევანიშვილი

დირექტორი _____ ე. ბატიაშვილი

10 - 36 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები	5	9,158,426	21,553,957
სხვა შემოსავალი		88,010	-
მარაგის ხარჯი	12	(2,501,599)	(4,113,967)
ხელფასი და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(4,150,488)	(6,798,596)
ცვეთა და ამორტიზაცია		(3,474,066)	(3,220,449)
სხვა ხარჯები	7	(2,178,477)	(4,554,229)
საოპერაციო (ზარალი)/ მოგება		**(3,058,194)**	**2,866,716**
ფინანსური ხარჯი	8	(12,434,605)	(5,557,733)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი	9	(78,366)	(111,740)
წლის სრული ზარალი		**(15,571,165)**	**(2,802,757)**

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 30 ივნისს შემდეგი პირების მიერ:

ფინანსური დირექტორი _____ გ. ქევანიშვილი

დირექტორი _____ ე. ბატიაშვილი

10 - 36 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	70,003,271	66,466,598
აქტივების გამოყენების უფლება	11	495,646	541,347
არამატერიალური აქტივები		166,092	180,577
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ავანსები		1,163,354	1,194,332
		71,828,363	**68,382,854**
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	12	1,820,440	1,181,437
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	210,146	485,754
ფული და ფულის ეკვივალენტები	14	186,900	419,926
		2,217,486	**2,087,117**
სულ აქტივები		**74,045,849**	**70,469,971**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		24,988,516	24,988,516
დაგროვილი ზარალი		(18,934,526)	(3,363,361)
სხვა რეზერვები		3,608,376	3,608,376
		9,662,366	**25,233,531**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	15	51,399,958	36,494,761
საიჯარო ვალდებულებები	11	229,123	452,992
		51,629,081	**36,947,753**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	15	10,627,547	6,326,110
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	1,434,912	1,835,809
საგადასახადო ვალდებულებები		599,687	23,687
საიჯარო ვალდებულებები	11	92,256	103,081
		12,754,402	**8,288,687**
სულ ვალდებულებები		**64,383,483**	**45,236,440**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**74,045,849**	**70,469,971**

10 - 36 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სხვა რეზერვები	სულ
31 დეკემბერი 2018	**24,988,516**	**(560,604)**	**3,608,376**	**28,036,288**
წლის სრული ზარალი	-	(2,802,757)	-	**(2,802,757)**
31 დეკემბერი 2019	**24,988,516**	**(3,363,361)**	**3,608,376**	**25,233,531**
წლის სრული ზარალი	-	(15,571,165)	-	**(15,571,165)**
31 დეკემბერი 2020	**24,988,516**	**(18,934,526)**	**3,608,376**	**9,662,366**

10 - 36 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
ზარალი დაბეგვრამდე		**(15,571,165)**	**(2,802,757)**
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		3,432,484	3,220,449
საპროცენტო ხარჯი	8	3,145,162	3,120,229
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა		-	74,384
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი		9,408,509	2,545,553
სოფლის მეურნეობის პროდუქციის აღიარებიდან მიღებული მოგება		(62,074)	(20,143)
აქტივის გამოყენების უფლების გასვლიდან მიღებული მოგება	11	(25,936)	-
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		**326,980**	**6,137,715**
მარაგების ზრდა		(240,868)	(399,219)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება/(ზრდა)		273,587	(41,123)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების შემცირება/(ზრდა)		(860,582)	56,233
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		576,000	(323,411)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ		**75,117**	**5,430,195**
გადახდილი პროცენტი	15	(3,316,391)	(3,127,954)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული (მიღებული) წმინდა ფულადი ნაკადები		**(3,241,274)**	**2,302,241**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(6,035,787)	(5,497,161)
არამატერიალური აქტივების შეძენა		14,485	(56,119)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		**(6,021,302)**	**(5,553,280)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხის დაფარვა	15	(41,569,770)	(7,422,763)
სესხის მიღება	15	50,970,923	11,177,081
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	11	(295,258)	(100,067)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		**9,105,895**	**3,654,251**
ფულადი სახსრების წმინდა (შემცირება)/ზრდა		**(156,681)**	**403,212**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		**419,926**	**114,862**
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(76,345)	(98,148)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		**186,900**	**419,926**

10 - 36 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ლოპოტა“ (შემდგომში კომპანია, ს/კ - 431176817) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2016 წლის 27 დეკემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის სასტუმროს და მასთან დაკავშირებული სხვა მომსახურების გაწევა. სასტუმრო მდებარეობს თელავის რაიონ, სოფელ ნაფარეულში.

კომპანია წარმოადგენს ჯგუფის მშობელ კომპანიას და ფინანსურ ანგარიშგებაში იკონსოლიდირებს შემდეგ შვილობილ კომპანიას:

დასახელება	საქმიანობის ქვეყანა	31.12.2020	საოპერაციო საქმიანობა
შპს „ლოპოტა დეველოპმენტ“	საქართველო	100%	მშენებლობა

კომპანიამ 2019 წლის 9 ოქტომბერს დააფუძნა 100%-იანი შვილობილი კომპანია - შპს „ლოპოტა დეველოპმენტი“ (შემდგომში შვილობილი კომპანია). შვილობილი კომპანიის იურიდიული მისამართია თელავის რაიონი, სოფელი ნაფარეული, საქართველო. მისი ძირითადი საქმიანობაა მშენებლობა, კერძოდ, მშობელი კომპანიის დაკვეთით ასრულებს სამშენებლო პროექტებს შპს „ლოპოტას“ ტერიტორიაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში შპს „ლოპოტა დეველოპმენტ“-მა მის საკუთრებაში არსებული ყველა ძირითადი აქტივი მიყიდა შპს „ლოპოტა“-ს და შესაბამისად, შეაჩერა საოპერაციო საქმიანობა.

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის 100%-იანი წილის მფლობელია შპს „ლოპოტა ინვესტმენტი“. ჯგუფის საბოლოო მაკონტროლებელი ფიზიკური პირია ეკატერინე ბატიაშვილი.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, ჯგუფი ვალდებულია მოამზადოს და წარადგინოს მშობელი კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება. ჯგუფის შვილობილ კომპანიას 2020 წლის განმავლობაში არ განუხორციელებია არსებითი ოპერაციები და საანგარიშგებო წლის ბოლოს არ ფლობდა არსებით აქტივებსა და ვალდებულებებს. ჯგუფის 2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არსებითად არ განსხვავდება კომპანიის 2020 წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისგან და შესაბამისად, კონსოლიდირებული ანგარიშგება გამოხატავს კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას.

2. მომზადების საფუძველი

მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს–ები) შესაბამისად.

ფუნქციონირებადი საწარმო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ჯგუფის ხელმძღვანელობას სურვილი აქვთ განავითარონ საქმიანობა საქართველოში. კორონავირუსმა გავლენა მოახდინა ჯგუფის საოპერაციო საქმიანობაზე და ეფექტურობაზე, და შესაძლოა გამოიწვიოს ზარალი 2021 წელს. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ პანდემიით გამოწვეული კრიზისი დასრულდება და მომავალ პერიოდებში ჯგუფი დაუბრუნდება ნორმალურ საოპერაციო საქმიანობას. ხელმძღვანელობას სჯერა რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში, შემდეგი გარემოებების გამო:

- ხელმძღვანელობამ მოამზადა ჯგუფის ფინანსური პროგნოზი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დღიდან 12 თვის განმავლობაში, რომელშიც გაითვალისწინა მოვლენათა უარყოფითი განვითარების შესაძლო სცენარები. შეფასებისას გაითვალისწინეს COVID-19 პანდემიის გავლენის ანალიზი ჯგუფის საქმიანობაზე, ლიკვიდურობასა და დაფინანსებაზე. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჯგუფის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში, დაკავშირებული არ არის არსებით განუსაზღვრელობასთან;

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

- COVID-19-ის, ბიზნესზე უარყოფითი გავლენის შესამცირებლად მთავრობამ 2020 და 2021 წელს გამოსცა განკარგულებები, რომლის მიხედვითაც მოხდა გარკვეული საგადასახადო შეღავათების დაწესება კომპანიებისათვის. მთავრობის მიერ გამოცემული ბრძანების მიხედვით, სასტუმრო ბიზნესი სრულად გათავისუფლდა 2019 და 2020 წლის ქონების გადასახადის გადახდისგან. გამოცემული ბრძანების მიხედვით მოხდა საშემოსავლო გადასახადის გადახდასთან გარკვეული შეღავათების დაწესება და ასევე, სასტუმრო ბიზნესი განთავისუფლდა 2020 წლის 6 თვის საშემოსავლო გადასახადის გადახდისაგან;

- ჯგუფს აქვს მიღებული სესხი სს „თიბისი ბანკი“-დან. მთავრობის დადგენილების შესაბამისად, საოპერაციო საქმიანობის შეჩერების შედეგად ჯგუფს შეექმნა სირთულეები გრაფიკის მიხედვით სესხის მომსახურებასთან დაკავშირებით. 2020 წლის დეკემბერში ჯგუფმა გააფორმა დამატებითი შეთანხმება ბანკთან ძირი თანხების გადახდის გადავადებასთან დაკავშირებით 2021 წლის აპრილამდე;

- ჯგუფს მიღებულ სესხებზე გააჩნია ფინანსური შეზღუდვები, რომლებიც ვერ შესრულდა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. თუმცა, ჯგუფს აქვს წერილობითი შეთანხმება ბანკთან რომლის მიხედვითაც ბანკი არ გამოიყენებს სესხის უპირობოდ დაფარვის უფლებას; ჯგუფის წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე, ხელმძღვანელობა არ მოელის რომ ბანკის მხრიდან მოცემული უფლების ამოქმედებას;

- ხელმძღვანელობის შეფასებით სასტუმროს დატვირთულობის კოეფიციენტი მუდმივად იზრდება, რაც თავის მხრივ დადებითად მოქმედებს შემოსავლებისა და შესაბამისად ფულადი სახრების გენერაციაზე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხები არ არის დამრგვალებული, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მიხედვით მომზადება ჯგუფის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 განმარტებით შენიშვნაში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია მე-20 განმარტებით შენიშვნაში.

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შპს „ლოპოტას“ და მისი შვილობილი საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებებს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება.

კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანიას:

- აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის

ჯგუფი ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი.

როდესაც ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში უმრავლესობაზე ნაკლებ ხმებს ფლობს, მას გავლენა ექნება ინვესტიციის ობიექტზე, თუ ხმის უფლება საკმარისია, რომ მას ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ერთპიროვნულად წარმართოს ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა. იმის შეფასებისას, კომპანიის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, კომპანია ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

- კომპანიის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასთან შედარებით;
- კომპანიის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციული ხმის უფლებები;
- სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან წარმომდგარი უფლებები; და
- ნებისმიერი დამატებითი ფაქტი ან გარემოება, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანიას ამჟამად აქვს, ან არ აქვს უნარი, მართოს შესაბამისი საქმიანობა ისეთ დროს, როდესაც გადაწყვეტილებების მიღებაა საჭირო, მათ შორის ხმის მიცემის გამოცდილება წინა პარტნიორების კრებებზე.

იმ შემთხვევაში თუ შვილობილი საწარმოს საღრიცხვო პოლიტიკა განსხვავდება მფლობელი კომპანიის საღრიცხვო პოლიტიკისგან, ხდება შვილობილი საწარმოს ფინანსური ანგარიშგების კორექტირება, რათა მათი საღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის პოლიტიკასთან. ჯგუფის კომპონენტებს შორის არსებულ ოპერაციებთან დაკავშირებული ყველა შიდაჯგუფური მოთხოვნა, ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას სრულად ელიმინირდება.

ახალი ფასს-ების მიღება

ა) 2020 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები, და შესწორებები - ახალი სტანდარტები ან ინტერპრეტაციები, რომლებიც ეფექტურია 2020 წლის 1 იანვრიდან, თუმცა არც ერთ მათგანს არ მოუხდენია არსებითი ზეგავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის, არის შემდეგი:

- ფასს 3 - საწარმოთა გაერთიანება (შესწორებები - ბიზნესის განმარტება);
- ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ბასს 8 - საღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები საღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (შესწორება - არსებითის განმარტება); და
- ფინანსური ანგარიშგების განახლებული კონცეპტუალური საფუძვლები.
- COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა (ფასს 16-ის ცვლილებები)

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის მომავალ პერიოდებში და რომლებიც ჯგუფს ნაადრევად არ მიუღია.

2021 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდეგი შესწორებები:

- საპროცენტო განაკვეთის ზღვრის რეფორმა - IBOR „ფაზა 2“ (შესწორება - ფასს 9, ბასს 39 და ფასს 7);

2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდეგი შესწორებები:

- წამგებიანი ხელშეკრულებები – ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის ცვლილებები);
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (ბასს 16-ის ცვლილებები);
- ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018-2020 (ფასს 1-ის, ფასს 9-ის, ფასს 16-ის და ბასს 41-ის შესწორებები); და
- კონცეპტუალური მიდგომა (ფასს 3-ის შესწორებები).

2020 წლის იანვარში, IASB-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ში, რომელიც აზუსტებს კრიტერიუმებს ვალდებულებების კლასიფიკაციისთვის მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად. აღნიშნული ცვლილებების მიხედვით, ვალდებულების მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად კლასიფიცირება დამოკიდებულია, მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქვს თუ არა ჯგუფს უფლება გადაავადოს ვალდებულების დაფარვა სულ მცირე 12 თვის განმავლობაში საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ. შესწორებები ასევე აზუსტებს, რომ „ვალდებულების დაფარვა“ მოიცავს ფულადი სახსრების, საქონლის, მომსახურების ან წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემას, თუ წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემის ვალდებულება არ წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის შემადგენელი გაცვლის პირობით, რომელიც კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად, ვალდებულების კომპონენტისგან განცალკევებით.

ცვლილებები თავდაპირველად ძალაში უნდა შესულიყო 2022 წლის 1 იანვარს და აქტიური იქნებოდა შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში. თუმცა, 2020 წლის მაისში ბასს 1-ის ცვლილებების ამოქმედების თარიღი გადავადდა 2023 წლის 1 იანვრამდე.

ჯგუფი არ ელოდება, რომ IASB-ის მიერ გამოცემულ სხვა სტანდარტებს, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის ძალაში შესული, მნიშვნელოვანი გავლენა ექნება ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს ჯგუფის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან.

ჯგუფი ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედილი, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.

ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

3.1 ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ჯგუფი გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

3.2 იჯარის ვადა, ზღვრული სასესხო განაკვეთი (ზსგ) და საიჯარო გადახდები

იჯარის ვადა განისაზღვრება, როგორც იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, იმ პერიოდებთან ერთად, რომლებზეც ვრცელდება იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მოიცავს ჯგუფის საქმიანი პრაქტიკით ნაგულისხმევ გაგრძელების უფლებას), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას, ან ნებისმიერი პერიოდი, რომლებზეც ვრცელდება იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე არ გამოიყენებს ამ უფლებას. ხელმძღვანელობა საიჯარო ვადის განსაზღვრისას გადაწყვეტილებას იღებს, როდესაც საიჯარო კონტრაქტები მოიცავს განახლების არჩევანს, რომელიც განხორციელებადია მხოლოდ ჯგუფის მიერ.

იგი განიხილავს ყველა გარემოებას, რომელიც მას ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება. დაწყების თარიღის შემდეგ, ჯგუფი საიჯარო ვადას ხელახლა აფასებს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ ის გამოიყენებს (ან არ გამოიყენებს) იჯარის გაგრძელების ან იჯარის შეწყვეტის არჩევნის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელობანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც მის კონტროლს ექვემდებარება.

ხელმძღვანელობა მსჯელობით აფასებს ზსგ-ს. საბაზო განაკვეთის განსაზღვრისთვის ხელმძღვანელობა იყენებს დაკვირვებად ინფორმაციას და აკორექტირებს მას მოიჯარისა და აქტივის სპეციფიკიდან გამომდინარე (უზრუნველყოფასთან დაკავშირებული კორექტირება).

ჩვეულებრივ, საქართველოში იჯარის განახლების არჩევანის უფლება გამომდინარეობს საქმიანი პრაქტიკიდან და განახლების ყველა პირობა არ არის აღწერილი საიჯარო ხელშეკრულებებში. ასეთ შემთხვევებში, საიჯარო ვალდებულების საწყისი შეფასება გულისხმობს სახელშეკრულებო თანხების ტოლ გადახდებს განახლების პერიოდებისთვის და რომელიც რჩება უცვლელი იჯარის ვადის განმავლობაში.

3.3 გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება

ჯგუფი პერიოდულად აფასებს გრძელვადიანი აქტივების საბალანსო ღირებულების ანაზღაურებადობას. როდესაც ფაქტები და გარემოებები მიუთითებენ აქტივების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურებაზე, ჯგუფი აფასებს ასეთი აქტივების ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებისთვის ჯგუფი აკეთებს დაშვებებს მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

რისკი თანდაყოლილი მოვლენაა ჯგუფის საქმიანობისთვის, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რეგულარული ღონისძიებებით, როგორიცაა რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და ყოველდღიური მონიტორინგი, რის შედეგადაც დგინდება რისკის ლიმიტი და იქმნება კონტროლის მექანიზმები.

ჯგუფი, თავისი საქმიანობის მანძილზე დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- საპროცენტო რისკი
- სავალუტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

ჯგუფი საოპერაციო საქმიანობის ნაწილში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს ჯგუფის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ჯგუფის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს, საიჯარო ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია ჯგუფის ფინანსური უზრუნველყოფა. ჯგუფს გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები როგორიც არის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ფული და ფულის ეკვივალენტები.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	129,711	400,796
ფული და ფულის ეკვივალენტები	186,900	419,926
	316,611	**820,722**
ფინანსური ვალდებულებები		
მიღებული სესხები	62,027,505	42,820,871
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,048,431	1,337,689
საიჯარო ვალდებულებები	321,379	556,073
	63,397,315	**44,714,633**

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება არის საფასური, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდება ვალდებულების გადასაცემად ორგანიზებულ ოპერაციაში საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების დღეს, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში იმ ბაზრის მიხედვით რომელზეც აქვს წვდომა ჯგუფს და ყველაზე ხელსაყრელია მოცემული თარიღისათვის.

როცა შესაძლებელია, ინსტრუმენტის რეალურ ღირებულებას ჯგუფი განსაზღვრავს მოცემული ინსტრუმენტის მოქმედ ბაზარზე კოტირებული ფასით. ბაზარი მოქმედად ითვლება, თუ აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციები მიმდინარეობს საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რათა უზრუნველყოს ინფორმაცია ფასების თაობაზე მუდმივ რეჟიმში.

თუ მოქმედ ბაზარზე არ არსებობს კოტირებული ფასი, ჯგუფი რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს შეფასების მეთოდების გამოყენებით. შერჩეული შეფასების მეთოდი მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს, მინიმალურად ეყრდნობა არასაბაზრო მონაცემებს და ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტორს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები ფასის დადგენისას მიიღებდნენ მხედველობაში. თავდაპირველი აღიარებისას ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის გარიგების ფასი, ანუ გადახდილი ან მიღებული საკომპენსაციო თანხის რეალური ღირებულება.

4. ფინანსური ინტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

თუ ჯგუფი გადაწყვეტს, რომ რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას განსხვავდება გარიგების ფასისგან და რეალური ღირებულება არ დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების მოქმედ ბაზარზე არსებული კოტირებული ფასით, ასევე, ეს ღირებულება არ ეფუძნება შეფასებას ისეთი მეთოდის საფუძველზე, რომლის ცვლადებიც მოიცავენ მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს, ასეთ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად შეფასდება რეალური ღირებულებით, რომელიც დაკორექტირდება სხვაობით ამ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის. ნებისმიერი სხვაობა ამ ღირებულებასა და შეფასების მეთოდით მიღებულ თავდაპირველ ღირებულებას შორის მოგვიანებით სათანადო წესით აღიარდება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს იმ დროისა, როცა შეფასება მთლიანად ეყრდნობა დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს ან როდესაც გარიგება დაიხურება.

ჯგუფი ადგენს რეალურ ღირებულებას შემდეგი იერარქიის გამოყენებით, რომელიც ასახავს შეფასების გაკეთებისას გამოყენებული მონაცემების მნიშვნელობას:

დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (კორექტირების გარეშე) მოქმედ ბაზარზე ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტისთვის;

დონე 2: მონაცემები გარდა იმისა, რაც შედის პირველ დონეში და რომლებიც თვალსაჩინოა როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც ფასდება შემდეგი მონაცემების გამოყენებით: მოქმედ ბაზრებზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც ნაკლებად აქტიურად მიიჩნევა; ან შეფასების სხვა მეთოდები, რომლის ფარგლებშიც ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი არის პირდაპირ ან ირიბად თვალსაჩინო, საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე;

დონე 3: არათვალსაჩინო მონაცემები. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომლის ფარგლებში შეფასების მეთოდიკა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობიან თვალსაჩინო მონაცემებს და არათვალსაჩინო მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებებია საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის.

რეალური ღირებულების შეფასება, რომელიც გამოყენებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები, საიჯარო ვალდებულებები და მიღებული სესხები მოხდა მე-2 და მე-3 იერარქიის საფუძველზე. აღნიშნული იერარქიებისთვის მოხდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდის გამოყენებით. რეალური ღირებულების შეფასება არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტებისთვის მოხდა მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომელიც დადისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკის და დაფარვის ვადის მქონე ახალი ფინანსური ინსტრუმენტისთვის. ბანკებისგან მიღებული სესხები დადისკონტირებულია ჯგუფის საკუთარი საპროცენტო განაკვეთით, რომლითაც მიღებული აქვს ისინი. ფული და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით.

2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის არ მომხდარა ცვლილება მე-2 და მე-3 დონის შეფასების იერარქიისთვის გამოყენებულ შეფასების მეთოდოლოგიაში.

კაპიტალის მართვა

ჯგუფი კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. ჯგუფის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ჯგუფის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ჯგუფის ფინანსური მხარისთვის.

ჯგუფის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას ჯგუფი რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს.

4. ფინანსური ინტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. ჯგუფს გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. ჯგუფი არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	110,782	18,929	-	**129,711**
ფული და ფულის ეკვივალენტები	186,770	130	-	**186,900**
	297,552	**19,059**	**-**	**316,611**
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	-	25,113,554	36,913,951	**62,027,505**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,048,431	-	-	**1,048,431**
საიჯარო ვალდებულებები	321,379	-	-	**321,379**
	1,369,810	**25,113,554**	**36,913,951**	**63,397,315**
წმინდა სავალუტო პოზიცია	**(1,072,258)**	**(25,094,495)**	**(36,913,951)**	

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	400,796	-	-	**400,796**
ფული და ფულის ეკვივალენტები	291,533	28,844	99,549	**419,926**
	692,329	**28,844**	**99,549**	**820,722**
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	-	20,773,582	22,047,289	**42,820,871**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,324,773	-	12,916	**1,337,689**
საიჯარო ვალდებულებები	220,554	335,519	-	**556,073**
	1,545,327	**21,109,101**	**22,060,205**	**44,714,633**
წმინდა სავალუტო პოზიცია	**(852,998)**	**(21,080,257)**	**(21,960,656)**	

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ჯგუფის მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას ჯგუფის მენეჯენტის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით. 2020 წლის 31 დეკემბრისთვის წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების გადაფასების ეფექტი შემდეგია:

	ლარი/დოლარი 20%	ლარი/დოლარი -20%	ლარი/ევრო 20%	ლარი/ევრო -20%
მოგება/ზარალი	(5,018,899)	5,018,899	(7,382,790)	7,382,790

2019 წლის 31 დეკემბრისთვის წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების გადაფასების ეფექტი შემდეგია:

	ლარი/დოლარი 20%	ლარი/დოლარი -20%	ლარი/ევრო 20%	ლარი/ევრო -20%
მოგება/ზარალი	(4,216,051)	4,216,051	(4,392,131)	4,392,131

4. ფინანსური ინტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. ჯგუფი დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხები.

ქვემოთ წარმოდგენილი მგრძნობელობის ანალიზი ჩატარდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის. ანალიზი მომზადდა იმის დაშვებით, რომ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის დაუფარავი ვალდებულების თანხა მთელი წლის განმავლობაში დაუფარავი იყო. 100 საბაზისო ერთეულის გაზრდა (100 საბაზისო ერთეული შეესაბამება 1 პროცენტიან ცვლილებას) ან შემცირება ხდება საპროცენტო განაკვეთის რისკის შიდა ანგარიშგებისას უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობისთვის და წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ საპროცენტო განაკვეთების შესაძლო ცვლილების შეფასებას, გონივრულობის ფარგლებში:

	31.12.2020		31.12.2019	
	პროცენტის ზრდა 1%-ით	პროცენტის შემცირება 1%-ით	პროცენტის ზრდა 1%-ით	პროცენტის შემცირება 1%-ით
მოგება/ზარალი	(620,275)	620,275	(428,209)	428,209

ზემოთ მოცემული ცხრილი ასახავს ერთი ცვლადის ცვლილებას იმ დაშვებით, რომ სხვა ცვლადები დარჩება უცვლელი.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

ჯგუფი ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს ჯგუფის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, ჯგუფი ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს.

ლიკვიდურობის ანალიზი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,048,431	-	-	**1,048,431**
მიღებული სესხები	14,152,030	31,866,677	34,917,916	**80,936,623**
საიჯარო ვალდებულებები	168,401	482,588	1,107,000	**1,757,989**
	15,368,862	**32,349,265**	**36,024,916**	**83,743,043**

ლიკვიდურობის ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,337,689	-	-	**1,337,689**
მიღებული სესხები	9,267,099	25,044,227	23,121,311	**57,432,637**
საიჯარო ვალდებულებები	92,256	151,504	1,080,000	**1,323,760**
	10,697,044	**25,195,731**	**24,201,311**	**60,094,086**

ჯგუფის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მას გააჩნია საკმარისი ლიკვიდობა რომ შეასრულოს მიმდინარე ვალდებულებები.

4. ფინანსური ინტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. ჯგუფის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. ჯგუფის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს დებიტორული დავალიანების დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, ჯგუფი მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. ჯგუფი საკრედიტო რისკების მართვას ასევე ახორციელებს მომხმარებლებთან საავანსო ანგარიშსწორების სისტემის დანერგვით. საკრედიტო რისკის სამართავად ჯგუფი განიხილავს მომხმარებელი იურიდიული პირია თუ ფიზიკური. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს (გარდა ნაღდი ფულისა).

დებიტორების რაოდენობიდან გამომდინარე, 2020 და 2019 წლის საანგარიშგებო წლისთვის დებიტორული დავალიანების ხანდაზმულობის ანალიზი მოხდა ინდივიდუალურად. ჯგუფმა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ინდივიდუალურად შეაფასა დებიტორების გაუფასურების ნიშნები, რის შედეგადაც საეჭვო მოთხოვნების არსებითი მოცულობა არ გამოვლენილა, ამიტომ გაუფასურების ანარიცხი არ შეუქმნია.

5. ამონაგები

ამონაგები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
ოთახები*	5,755,900	13,755,823
საჭმელი და სასმელი	3,001,409	6,448,193
გასართობი და სარელაქსაციო აქტივობები	229,519	907,159
სხვა	171,598	442,782
	9,158,426	**21,553,957**

*ოთახებიდან მიღებული შემოსავალი მოიცავს საუზმის კვების მომსახურებას, რომელიც 2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისათვის შეადგენს 1,269,036 და 2,297,166 ლარს, შესაბამისად.

6. მარაგის ხარჯი

მარაგის ხარჯი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
მარაგის შესყიდვა	(4,712,437)	(5,014,179)
ჯგუფის მიერ შესრულებული და კაპიტალიზებული სამუშაოები	1,375,997	470,467
მარაგების ცვლილება	834,841	429,745
წლის განმავლობაში გახარჯული მარაგები	**(2,501,599)**	**(4,113,967)**

7. სხვა ხარჯები

სხვა ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
კომუნალური გადასახადები	(733,841)	(885,274)
შეკეთება და რემონტი	(263,010)	(353,629)
რეკლამის და გაყიდვების ხარჯი	(257,015)	(1,303,255)
ტრანსპორტირება	(251,294)	(403,933)
სამეურნეო ხარჯები	(175,202)	(152,852)
პროფესიული მომსახურება*	(110,134)	(114,214)
საგადასახადო ხარჯი, გარდა მოგების გადასახადისა	(96,385)	(464,690)
ბანკის საკომისიო	(92,548)	(180,515)
კომუნიკაციის ხარჯები	(63,078)	(70,186)
იჯარა	(80,876)	(167,281)
დაზღვევა	(29,368)	(38,687)
სხვა	(25,726)	(419,713)
	(2,178,477)	**(4,554,229)**

*2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მომსახურების ღირებულება შეადგენს 27,563 და 24,296 ლარს, შესაბამისად.

8. ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
მიღებულ სესხებზე დარიცხული პროცენტი	(3,316,391)	(3,127,954)
საიჯარო ვალდებულებაზე დარიცხული პროცენტი	(41,108)	(43,510)
განსაკუთრებულ აქტივზე დაკაპიტალიზებული პროცენტი	212,337	51,235
	(3,145,162)	**(3,120,229)**
საპროცენტო შემოსავალი	22,121	-
	22,121	**-**
სესხების გადაფასება	(9,805,481)	(2,437,504)
განსაკუთრებულ აქტივზე დაკაპიტალიზირებული გადაფასება	493,917	-
	(9,311,564)	**(2,437,504)**

9. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი

კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
ფული და ფულის ექვივალენტი	(76,345)	(98,149)
სხვა ფინანსური ინსტრუმენტები	(2,021)	(13,591)
	(78,366)	**(111,740)**

10. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა-ნაგებობები	დაუმთავრებელი მშენებლობა	აღჭურვილობა და ინვენტარი	სხვა	სულ
2018 წლის 31 დეკემბერი	**27,302,033**	**26,551,234**	**3,215,314**	**6,887,191**	**3,448,620**	**67,404,392**
შემოსვლა	-	408,562	905,768	2,086,582	1,653,062	**5,053,974**
შიდა გადაადგილება	-	3,588,891	(3,588,891)	-	-	**-**
გასვლა	-	-	-	-	(13,081)	**(13,081)**
2019 წლის 31 დეკემბერი	**27,302,033**	**30,548,687**	**532,191**	**8,973,773**	**5,088,601**	**72,445,285**
შემოსვლა	461,595	679,401	5,327,477	600,808	180,682	**7,249,963**
გასვლა	-	-	-	-	(16,911)	**(16,911)**
2020 წლის 31 დეკემბერი	**27,763,628**	**31,228,088**	**5,859,668**	**9,574,581**	**5,252,372**	**79,678,337**
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება						
2018 წლის 31 დეკემბერი	**-**	**(935,966)**	**-**	**(1,288,466)**	**(559,306)**	**(2,783,738)**
ცვეთა	-	(840,515)	-	(1,595,806)	(687,529)	**(3,123,850)**
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	3,284	**3,284**
გაუფასურება	-	-	-	-	(74,383)	**(74,383)**
2019 წლის დეკემბერი	**-**	**(1,776,481)**	**-**	**(2,884,272)**	**(1,317,934)**	**(5,978,687)**
ცვეთა	-	(859,442)	-	(1,804,559)	(1,035,492)	**(3,699,493)**
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	3,114	**3,114**
2020 წლის დეკემბერი	**-**	**(2,635,923)**	**-**	**(4,688,831)**	**(2,350,312)**	**(9,675,066)**
წმინდა საბალანსო ღირებულება						
2019 წლის 31 დეკემბერი	**27,302,033**	**28,772,206**	**532,191**	**6,089,501**	**3,770,667**	**66,466,598**
2020 წლის 31 დეკემბერი	**27,763,628**	**28,592,165**	**5,859,668**	**4,885,750**	**2,902,060**	**70,003,271**

10. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ჯგუფის უძრავი ქონება და მოძრავი ქონების ნაწილი ჩადებულია სს „თიბისი ბანკი“-სგან მიღებული სესხის უზრუნველყოფაში.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის ჯგუფმა შეაფასა გაუფასურების ინდიკატორების არსებობა (Covid 19 პანდემიიდან გამომდინარე), რაც შესაძლოა მიუთითებდეს ჯგუფის არაფინანსური აქტივების ანაზღაურებადი ღირებულების შემცირებას მის საბალანსო ღირებულებაზე ქვემოთ.

ძირითადი საშუალებების ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის. ჯგუფმა შეაფასა გამოყენების შედეგად მოსალოდნელი მომავალი ფულადი სახსრების დისკონტირებული ღირებულება და რადგან იგი აღემატებოდა გრძელვადიანი აქტივების საბალანსო ღირბულებას, გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულება არ გაუანგარიშებია.

ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულების განისაზღვრა მოხდა ფულადი სახსრების დისკონტირების ტექნიკის გამოყენებით, მოსალოდნელი ფულადი სახსრების საფუძველზე, რომელიც კლასიფიცირებულია როგორც სამართლიანი ღრებულების შეფასების მე-3 დონის იერარქია, შეფასების გაკეთებისას გამოყენებული მონაცემების მნიშვნელობიდან გამომდინარე.

Covid 19 პანდემიის შედეგად გამოწვეული შედეგების მაღალი განუსაზღვრელობის გამო, ჯგუფმა განიხილა მომავალი ფულადი სახსრების გენერაციის სამი განსხვავებული სცენარი და მიღებული შედეგების შეწონვა მოახდინა თითოეული სცენარის მოხდენის ალბათობის მიხედვით.

ძირითადი საშუალების შეფასებისას გამოყენებულია შემდეგი ძირითადი დაშვებები:

- მომავალი ფულადი ნაკადების შეფასება მოხდა ქართულ ლარში ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებული ხუთწლიან ფინანსურ ბიუჯეტზე დაყრდნობით გაანგარიშებული პროგნოზების საფუძველზე;
- შემდგომი ტერმინალური პერიოდი გამოყენებულია გაუფასურების ტესტირებისთვის მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებითვის;
- დისკონტირების პროცენტი გადასახადების ჩათვლით განისაზღვრა 13.5%-ით, საბაზრო მონაცემებზე დაყრდნობით;
- ტერმინალური პერიოდის ზრდის ტემპი განისაზღვრა ქართული ლარის გრძელვადიანი ინფლაციის მაჩვენებლით, 3%-ით;

ხელმძღვანელობამ დაადგინა ორი ძირითადი დაშვება, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულების შეფასებაზე:

- გამოყენებული დისკონტის პროცენტის (გადასახადების ჩათვლით) დაახლოებით 1%-ით ზრდა ანაზღაურებად ღირებულებას შეამცირებდა 6,847,693 ლარით და შესაბამისად, გაუფასურების ზარალი გაიზრდებოდა 5,376,706 ლარით;
- გამოყენებული ტერმინალური ზრდის ტემპის შემცირება 1%-ით გამოიწვევდა ანაზღაურებადი ღირებულების შემცირებას 4,944,542 ლარით და შესაბამისად, გაუფასურების ზარალი გაიზრდებოდა 3,473,55 ლარით;

11. იჯარა

ჯგუფი ქირაობს საოფისე ფართს ქ. თბილისში და ტბას, რომელიც განთავსებულია სასტუმროს ტერიტორიაზე. ორივე აქტივის იჯარის ღირებულება არის ფიქსირებული, იჯარის ვადის განმავლობაში. იჯარის ვადა ოფისის შემთხვევაში განსაზღვრულია 2 წლით, ხოლო ტბის შემთხვევაში - 46 წლით.

ასევე, ჯგუფს ფინანსური იჯარით აქვს აღებული რამდენიმე სატრანსპორტო საშუალება.

აქტივის გამოყენების უფლება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	შენობები	ტბა	სატრანსპორტო საშუალება	სულ
2020 წლის 1 იანვარი	128,844	215,981	196,522	**541,347**
შემოსვლა	122,912	-	-	**122,912**
გასვლა	(199,122)	-	-	**(199,122)**
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა	99,561	-	-	**99,561**
ცვეთა	(61,149)	(4,695)	(3,208)	**(69,052)**
2020 წლის 31 დეკემბერი	**91,046**	**211,286**	**193,314**	**495,646**

11. იჯარა (გაგრძელება)

საიჯარო ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	შენობები	ტბა	სატრანსპორტო საშუალება	სულ
2020 წლის 1 იანვარი	144,537	220,554	190,982	**556,073**
საპროცენტო ხარჯი	14,245	26,863	-	**41,108**
შემოსვლა	122,912	-	-	**122,912**
გასვლა	(122,035)	-	-	**(122,035)**
გადახდა	(46,662)	(27,000)	(221,596)	**(295,258)**
საკურსო სხვაობა	(12,035)	-	30,614	**18,579**
2020 წლის 31 დეკემბერი	**100,962**	**220,417**	**-**	**321,379**

12. მარაგები

მარაგები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
სამშენებლო მარაგები	786,638	195,849
საკვები და სასმელი	627,217	584,231
სტუმრებისთვის განკუთვნილი მარაგები	293,570	294,243
სხვა	113,015	107,114
	1,820,440	**1,181,437**

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები	129,711	400,796
	129,711	**400,796**
არაფინანსური მოთხოვნები		
გადახდილი ავანსები	70,177	142,511
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	10,258	5,676
გაუფასურების რეზერვი	-	(63,229)
	80,435	**84,958**
	210,146	**485,754**

ჯგუფი ფინანსური აქტივების გაუფასურების მეთოდოლოგიისთვის იყენებს გამარტივებულ მეთოდს, რათა განსაზღვროს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი.

გაუფასურების პოლიტიკის შესახებ დამატებით ინფორმაცია მოცემულია მე-20 განმარტებით შენიშვნაში.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება უახლოვდება სამართლიან ღირებულებას მათი მოკლევადიანი ხასიათის გამო.

დამატებითი ინფორმაცია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შესახებ მოცემულია მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

14. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	130	128,393
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	161,764	266,262
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	25,006	25,271
	186,900	**419,926**

ფულის და ფულის ეკვივალენტების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

დამატებითი ინფორმაცია ფული და ფულის ეკვივალენტების შესახებ მოცემულია მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

15. მიღებული სესხები

მიღებული სესხები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მოკლევადიანი	გრძელვადიანი
სს თიბისი ბანკი	10,405,370	51,399,958
სს თიბისი ლიზინგი	222,177	-
	10,627,547	**51,399,958**

მიღებული სესხები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მოკლევადიანი	გრძელვადიანი
სს თიბისი ბანკი	6,060,111	36,494,761
სს თიბისი ლიზინგი	265,999	-
	6,326,110	**36,494,761**

მიღებული სესხების რეკონსილაცია 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	გრძელვადიანი	მოკლევადიანი	სულ
2020 წლის 1 იანვარი	**36,494,761**	**6,326,110**	**42,820,871**
მონეტარული ცვლილებები	13,324,648	(7,239,886)	**6,084,762**
არამონეტარული ცვლილებები			
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	11,879,250	(2,073,769)	**9,805,481**
გრძელვადიანი სესხების მოკლევადიანი ნაწილი	(10,298,701)	10,298,701	**-**
დარიცხული პროცენტი	-	3,316,391	**3,316,391**
2020 წლის 31 დეკემბერი	**51,399,958**	**10,627,547**	**62,027,505**

მიღებული სესხების რეკონსილაცია 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	გრძელვადიანი	მოკლევადიანი	სულ
2019 წლის 1 იანვარი	**33,126,802**	**3,502,247**	**36,629,049**
მონეტარული ცვლილებები	5,595,625	(4,969,261)	**626,364**
არამონეტარული ცვლილებები			
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	1,145,628	1,291,876	**2,437,504**
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	(3,373,294)	3,373,294	-
დარიცხული პროცენტი	-	3,127,954	**3,127,954**
2019 წლის 31 დეკემბერი	**36,494,761**	**6,326,110**	**42,820,871**

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით საპროცენტო ვალდებულება შეადგენს 74,166 და 49,072 ლარს, შესაბამისად.

15. მიღებული სესხები (გაგრძელება)

ჯგუფს სესხები მიღებული აქვს ცვლადი საპროცენტო განაკვეთით და მიბმულია 6-თვიან ლიბორზე. სესხების ფიქსირებული პროცენტი მერყეობს 5%-7.6% შუალედში.

მიღებული სესხის უზრუნველყოფას წარმოადგენს ჯგუფის დაკავშირებული საწარმოების - „შპს ლოპოტა ტურ სერვისი“, შპს „ლოპოტა“ (ს/კ - 431176817), შპს „ლოპოტა ინვესტმენტის“, წილები. ასევე, გიორგი მაისურაძისა და მიხეილ ნაცვლიშვილის წილები შპს „ლოპოტაში“.

სესხის უზრუნველყოფის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია მე-10 განმარტებით შენიშვნაში.

ჯგუფს მიღებულ სესხებზე გააჩნია ფინანსური შეზღუდვები, რომლებიც ვერ შესრულდა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. თუმცა, ჯგუფს აქვს წერილობითი შეთანხმება ბანკთან რომლის მიხედვითაც ბანკი არ გამოიყენებს სესხის უპირობოდ დაფარვის უფლებას.

მიღებული სესხების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

დამატებითი ინფორმაცია მიღებული სესხების შესახებ მოცემულია მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	402,101	862,260
გადასახდელი ხელფასები	183,183	280,947
სხვა ვალდებულებები	463,147	194,482
	1,048,431	**1,337,689**
არაფინანსური ვალდებულებები		
საკონტრაქტო ვალდებულებები	386,481	498,120
	386,481	**498,120**
	1,434,912	**1,835,809**

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება უახლოვდება სამართლიან ღირებულებას მათი მოკლევადიანი ხასიათის გამო.

დამატებითი ინფორმაცია სავაჭრო და სხვა ვალდებულებების შესახებ მოცემულია მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

17. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად, ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

სესხის ხელშეკრულების შეზღუდვები - ჯგუფს აქვს მიღებული სესხი სს „თიბისი ბანკისაგან“. სასესხო ხელშეკრულების პირობების მიხედვით ჯგუფს აქვს ფინანსური და არაფინანსური შეზღუდვები, რომელთა შეუსრულებლობის შემთხვევაში შესაძლოა გამსესხებელმა გამოიყენოს სესხის უპირობოდ დაფარვის უფლება (იხილეთ მე-15 განმარტებითი შენიშვნა).

ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები - 2020 წლის 5 მაისს კომპანიასა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს შორის გაფორმდა მიწის შესყიდვის ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულების მიხედვით კომპანიას ევალება: ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უმეტეს 24 თვის ვადაში არანაკლებ 86 ნომრის მქონე სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა, ექსპლუატაციაში მიღება, ფუნქციონირების დაწყება და სასტუმრო კომპლექსის ეზოს კეთილმოწყობა; არანაკლებ 2,110,000 ლარის ინვესტიციის განხორციელება.

საბანკო გარანტია - კომპანიამ 2020 წლის 27 მაისს გააფორმა საბანკო გარანტიის ხელშეკრულება სს თიბისი ბანკთან, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს მიერ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების კომპანიისთვის პირდაპირ მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 თებერვლის #406 განკარგულების თანხმად ბენეფიციარის წინაშე ნაკისრი ვალდებულების უზრუნველსაყოფად, 211,000 ლარის ღირებულებით, წლიური 3% საპროცენტო განაკვეთით, 2022 წლის 19 ოქტომბრის ჩათვლით.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, ჯგუფს ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და ჯგუფს დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. ჯგუფს მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. სასაგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ ჯგუფის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო მფლობელობაში არსებულ კომპანიებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

ჯგუფსა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ნაშთები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	უმაღლესი ხელმძღვანელობა	კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისი მუხლი
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	90,109	**1,434,912**

ჯგუფსა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ნაშთები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	უმაღლესი ხელმძღვანელობა	კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისი მუხლი
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	76,040	**1,835,809**

ჯგუფსა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის განხორციელებული ოპერაციები მოიცავს უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურებას, რომელიც 2020 და 2019 წლის 31 დეკემბერით დასრულებული წლებისთვის შეადგენს 1,262,487 და 1,687,455 ლარს, შესაბამისად.

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

- საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“. აღნიშნული კანონის მიხედვით, Covid 19-ის ნეგატიური ეფექტის ბიზნესზე შემცირების მიზნით მოხდა გარკვეული საგადასახადო შეღავათების დაწესება. დამტკიცებუული კანონის მიხედვით, ჯგუფი უფლებამოსილია შეიმციროს 2020 წლის საანგარიშგებო პერიოდის გადავადებული საშემოსავლო გადასახადი 359,526 ლარის ოდენობით. ასევე, ჯგუფი სრულად გათავისუფლდა 2020 წლის ქონების გადასახადის გადახდისგან, 416,232 ლარის ოდენობით;

- კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, ჯგუფის ხელმძღვანელობამ სს თიბისი ლიზინგთან გააფორმა ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც შპს ლოპოტას ტერიტორიაზე მოხდება 460 კილოვატიანი მზის ელექტროსადგურის აშენება. შესაბამისი ტექნიკის და აღჭურვილობის ლიზინგით შეძენის დაფინანსება მოხდება 7 წლის განმავლობაში;

- 2021 წლის საანგარიშგებო პერიოდში ჯგუფმა სასტუმრო კომპლექსის მშენებლობისთვის დამატებით აიღო სესხი სს თიბისი ბანკიდან. მიღებული სესხის მოცულობამ შეადგინა 5,844,000 ლარი;

- საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, Covid 19-ის გავრცელების პრევენციის მიზნით შექმნილმა უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილებები არსებული შეზღუდვების შემსუბუქების შესახებ. ისეთი შეზღუდვების მოხსნამ, როგორიც არის ქვეყნის სახმელეთო საზღვრის გახსნა, დადებითად იმოქმედა ჯგუფის მიერ მიღებულ შემოსავალზე;

- 2021 წლის 18 აპრილს მოხდა სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და შპს „ლოპოტას“ შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ცვლილების შესახებ ხელშეკრულების გაფორმება. განახლებული ხელშეკრულების მიხედვით შპს „ლოპოტას“ საინვესტიციო ვალდებულების შესრულების პერიოდი გახანგრძლივდა 2024 წლის 31 დეკემბრამდე.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

20.1 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

შეფასების და წარსადგენი ვალუტა

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც ჯგუფი ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შეფასების ვალუტად ჯგუფი იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მის ოპერაციებზე.

ოპერაციები შეფასების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება ბასს 21–ს „სავალუტო კურსების ცვლილებათა გავლენა“ და ფაისკ ინტერპრეტაცია 22-ის - „უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები და წინასწარი გადახდა“ მოთხოვნების შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი იყო შემდეგი:

	31.12.2020	31.12.2019
ლარი/1 აშშ დოლარი	3.2766	2.8677
ლარი/1 ევრო	4.0233	3.2095

20.2 შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ჯგუფი აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც ჯგუფი მოელის ამ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ. ჯგუფი იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებლებთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

ჯგუფი შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

შესასრულებელი ვალდებულება და შემოსავლის აღიარების დროულობა

ჯგუფის შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს მომხმარებლებისათვის სასტუმროს და მასთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდება. დეტალური სააღრიცხვო პოლიტიკა შემოსავლის მაფორმირებელი ძირითადი საქმიანობისთვის წარმოდგენილია ქვემოთ:

შემოსავალი რეგულარული მომსახურების მიწოდებიდან, როგორიც არის სასტუმროს მომსახურება, სპა და სპორტული დარბაზით სარგებლობა და სხვა დაკავშირებული მომსახურებები, აღიარდება დროთა განმავლობაში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც მოხდა მომსახურების მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყოველდღიური ღირებულების შესაბამისად.

შემოსავალი საკვები და სასმელის მიწოდებიდან და სხვა ერთჯერადი მომსახურებიდან აღიარდება მაშინ, როდესაც კონტროლი მოცემულ აქტივზე გადაეცემა მომხმარებელს. გარიგების ღირებულების გადახდა ხდება დაუყოვნებლივ, როდესაც ხდება მომხმარებლის მიერ საქონლის შესყიდვა. აქედან გამომდინარე, შემოსავლის აღიარება ხდება იმ დროს, როდესაც ფიზიკური მფლობელობა გადაეცემა მომხმარებელს ან ერთჯერადი მომსახურება არის მიწოდებული.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საკონტრაქტო ღირებულების განსაზღვრა

ჯგუფის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

ჯგუფის კონტრაქტების უმეტესი ნაწილი არის ფიქსირებულფასიანი. დიდი მოცულობის შეკვეთის შემთხვევაში ფასდაკლების შეთავაზებისას, ოპერაციის ფასი ერთეული პროდუქტისთვის გაიანგარიშება მთლიანი საკონტრაქტო ღირებულების გაყოფით აქტივის რაოდენობაზე. როდესაც მომხმარებელი უკვეთავს ერთზე მეტ პროდუქტს, ჯგუფი მთლიან საკონტრაქტო ფასს თითოეულ პროდუქტზე ანაწილებს მათი ინდივიდუალური გასაყიდი ფასის მიხედვით (ყველა პროდუქცია შეიძლება გაიყიდოს ცალკე).

გამოყენებული გათავისუფლება

ჯგუფმა გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და

- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

20.3 ფინანსური ინსტრუმენტები

ჯგუფი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებს მაშინ, როდესაც ხდება ინსტრუმენტთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულების მხარე.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. 2018 წლის 1 იანვრისთვის (ფასს 9 სტანდარტებზე გადასვლის თარიღისთვის), ჯგუფის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება ჯგუფის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ჯგუფის ფინანსური აქტივები წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებით და ფული და ფულის ეკვივალენტებით. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულსა და ფულს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან, ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

გაუფასურება

ჯგუფი იყენებს გამარტივებულ მიდგომას და მოსალოდნელ ზარალს აღრიცხავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მუხლზე და სახელშეკრულებო აქტივზე. აღნიშნული მიდგომის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. გამარტივებული მიდგომა განიხილავს ზარალს სრულად მთელი პორტფოლიოსთვის, განურჩევლად იმისა ადგილი ჰქონდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას პირველადი აღიარების შემდგომ.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ჯგუფი საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი.

ჯგუფი ჯგუფურად აფასებს სავაჭრო მოთხოვნებს გაუფასურებაზე, რადგან ჯგუფის საქმიანობის სპეციფიკიდან და მომხმარებლებთან ანგარიშსწორების პირობებიდან გამომდინარე, მისი სავაჭრო მოთხოვნები არ მოიცავს ინდივიდუალურად მნიშვნელოვან ელემენტებს. თუმცა უნდა აღინიშნოს რომ, 2020 წელს ჯგუფს არ ჰყავდა დიდი მოცულობის დებიტორები, ამიტომ ინდივიდუალურად შეაფასა გაუფასურების ინდიკატორები.

იმისათვის, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი ჯგუფურად შეფასებულ სავაჭრო მოთხოვნებზე, მოთხოვნები ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი.

მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთები ეფუძნება ჯგუფის გასული წლის საკრედიტო გაუფასურების გამოცდილებას. ისტორიული მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთი კორექტირდება არსებული და სამომავლო მაკროეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, რომელიც გავლენას ახდენს ჯგუფის მომხმარებლებზე.

გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა გაუფასურებულ აქტივებთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე და საბალანსო ღირებულებებს შორის. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების კატეგორიისთვის, რომლებიც წმინდა ღირებულებით არის წარმოდგენილი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასეთი რეზერვები აისახება ცალკე მუხლად, ხოლო შესაბამისი ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული ფინანსური აქტივების ამოღება შეუძლებელია, აქტივის მთლიანი ღირებულება მცირდება შესაბამისი რეზერვით.

ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების გაუფასურება

ჯგუფმა არაარსებითად შეაფასა საკრედიტო დანაკარგების რისკი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე მათი სწრაფი ლიკვიდურობიდან გამომდინარე. შესაბამისად, ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების მუხლზე ჯგუფი არ ახორციელებს გაუფასურების აღიარებას ფასს 9-ის შესაბამისად.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის ჯგუფიდან გასვლა; ან (ii) ჯგუფი არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე ჯგუფი მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. 2018 წლის 1 იანვრისთვის (ფასს 9 სტანდარტებზე გადასვლის თარიღისთვის) ჯგუფს ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და საიჯარო ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გადახურვა

ჯგუფი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს გადახურავს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და ჯგუფი გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

20.4 საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირდება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული, ან გადახდილი საკომისიოს, გარიგებების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

20.5 ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

20.6 იჯარები

იჯარის იდენტიფიკაცია

ხელშეკრულების დაწყებისას ჯგუფი აფასებს ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. იმის დასადგენად, ესა თუ ის ხელშეკრულება გადასცემს თუ არა იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ჯგუფი აფასებს, გამოყენების პერიოდის განმავლობაში მომხმარებელს გააჩნია თუ არა ორივე შემდეგი უფლება:

- ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთელი სარგებლის მიღების უფლება და
- იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება

საწყისი აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფი აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება როგორც:

- აქტივი, რომელიც წარმოადგენს იჯარის ვადის განმავლობაში იჯარის ობიექტის გამოყენების უფლებას და
- ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, საიჯარო ვალდებულება ფასდება იმ საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

თუ ამ განაკვეთის ადვილად განსაზღვრა შეუძლებელია, გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი. საიჯარო ვალდებულების შეფასებაში ცვლადი საიჯარო გადასახდელები გაიანგარიშება იმ მოცულობით, რამდენადაც ისინი დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე რომლებიც თავდაპირველად შეფასებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის არსებული ინდექსის, ან განაკვეთის გამოყენებით. სხვა ცვლადი საიჯარო გადასახდელები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელსაც ისინი მიეკუთვნება.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, ასევე მოიცავს იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებასთან დაკავშირებულ შემდეგი სახის გადახდებს, რომლებიც განხორციელებული არ არის იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის:

- თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;
- შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას
- იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ჯგუფი აქტივის გამოყენების უფლებას აფასებს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას,
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით.

შემდგომი შეფასება

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივის გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით. თუ საიჯარო ხელშეკრულების თანახმად საიჯარო აქტივზე საკუთრების უფლება იჯარის ვადის დასრულებისას მოიჯარეს გადაეცემა, ან აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება ასახავს მოიჯარის განზრახვას, რომ ის გამოიყენებს აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, აქტივს ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე. სხვა შემთხვევაში, აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ ჯგუფი ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი აღიარდება მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

თუ შეიცვალა თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიის პირობის ფარგლებში ან შეიცვალა მომავალი საიჯარო გადახდები იმის გამო, რომ შეიცვალა ამ გადახდების განსაზღვრისთვის გამოსაყენებელი ინდექსი ან განაკვეთი, საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება იჯარის ვადის დასაწყისში განსაზღვრული დისკონტის განაკვეთის გამოყენებით. იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საიჯარო გადახდების ცვლილება გამოწვეულია ცვლადი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

იჯარის მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, თუ მოდიფიკაციის შედეგად იზრდება იჯარის გამოყენების სფერო და იჯარის ანაზღაურება იზრდება გაზრდილი გამოყენების სფეროს შესაფერისი ანაზღაურებით.

იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომელიც არ აღირიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, იჯარის მოდიფიკაციის ძალაში შესვლის თარიღისთვის მოიჯარე ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას გადასინჯული საიჯარო გადახდების დისკონტირებით გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში, საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასება აღირიცხება შემდეგნაირად:

- მცირდება აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება იჯარის ნაწილობრივ ან სრულად შეწყვეტის ასახვის მიზნით, იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომლის შედეგად მცირდება იჯარის მოქმედების სფერო. მოგება/ზარალში აღიარდება ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია იჯარის ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვეტასთან;
- კორექტირდება აქტივის გამოყენების უფლება იჯარის ყველა სხვა მოდიფიკაციის გათვალისწინებით

ჯგუფი არასაიჯარო კომპონენტებს არ გამოაცალკევებს საიჯარო კომპონენტებისგან და ამის ნაცვლად თითოეული საიჯარო კომპონენტი და მასთან დაკავშირებული არასაიჯარო კომპონენეტი აღრიცხება, როგორც ერთი საიჯარო კომპონენტი.

იჯარის ვადის განსაზღვრა

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს საიჯარო აქტივის გამოყენების უფლება, შემდეგ პერიოდებთან ერთად: ა) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მათ შორის მიღებული საქმიანი პრაქტიკით გამყარებულს), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს; და ბ) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას არ გამოიყენებს.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. იმის შესაფასებლად, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს იჯარის გაგრძელების უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, ჯგუფი განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება.

ზღვრული სასესხო განაკვეთი

ზღვრული სასესხო განაკვეთი არის, საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივის გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტიდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

საიჯარო გადასახდელების განსაზღვრა

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულს ჩანაწერს) იჯარის განახლების/გაგრძელების შესახებ. ამგვარი უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. ჯგუფი ამგვარ მიღებულ საქმიანი პრაქტიკის განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადასახდელები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით.

მოკლევადიან იჯარა და იჯარის, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება

ჯგუფმა გადაწყვიტა მოკლევადიან იჯარასთან და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებით, გამოიყენოს გათავისუფლება. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. სხვა სისტემატური საფუძველი იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოდელს.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

20.7 დაბეგვრა

მიმდინარე მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც ჯგუფი გამოაცხადებს დივიდენდს. დივიდენდის გამოცხადების გარდა, სხვა მავალდებულებელი მოვლენა, რომელიც წარმოქმნის მოგების გადასახადს აღაირდება სხვა ხარჯების მუხლში - „გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა“. ჯგუფის მიმდინარე საგადასახადო დავალიანება იანგარიშება საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც ძალაშია ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის.

გადავადებული გადასახადი

საქართველოს საგადასახადო სისტემაში შესული ცვლილებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების წარმოქმნა.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას.

წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

20.8 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	20 - 40
აღჭურვილობა და ინვენტარი	5 - 8
სატრანსპორტო საშუალებები	5
სხვა	3 -15
მიწა	არ ერიცხება ცვეთა
დაუმთავრებელი მშენებლობა	არ ერიცხება ცვეთა

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ჯგუფი იყენებს ცვეთის წრფივ დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

20.9 მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება, გარდა გუდვილისა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჯგუფი მიმოიხილავს მატერილაური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებას რათა განსაზღვროს, არსებობს თუ არა მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ჯგუფი ახორციელებს აქტივების ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებას. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება, ჯგუფი განსაზღვრავს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც განეკუთვნება მოცემული აქტივი.

აქტივის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული წარმოადგენს აქტივების უმცირეს ჯგუფს, რომელიც მოიცავს მოცემულ აქტივს და წარმოქმნის ფულად სახსრებს უწყვეტი გამოყენების შედეგად, რომელთა მიღება, უმეტესწილად, დამოკიდებული არ არის სხვა აქტივებიდან ან აქტივთა ჯგუფიდან ფულადი სახსრების მიღებაზე.

აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება წარმოადგენს გასვლის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდეს თანხას. აქტივის გამოყენების ღირებულება არის აქტივიდან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულიდან მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება.

აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე. შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება ხარჯის სახით მოგება-ზარალის ან სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჯგუფი განსაზღვრავს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი, რომლის მიხედვით წინა წლებში აღიარებული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალი შესაძლოა აღარ არსებობდეს ან შემცირებული იყოს. მისი არსებობის შემთხვევაში, ჯგუფი აფასებს მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების ზარალის კომპენსირების შემთხვევაში იზრდება აქტივის (ფულადის სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება, მაგარამ არაუმეტეს იმ საბალანსო ღირებულებისა, რომელიც მიღებული იქნებოდა წინა წლებში გაუფასურების ზარალის აღიარება რომ არ მომხდარიყო.

20.10 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეზალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

20.11 საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება ჯგუფის წესდებით. ჯგუფის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

20.12 ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ჯგუფში მოსალოდნელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს აქვს რწუმენება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ჯგუფში ანარიცხი აღიარდება, როდესაც ჯგუფს აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმება წარსული მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა; და შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

20.13 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

შპს „ლოპოტა“ და შვილობილი კომპანია

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა 39

ჯგუფის შესახებ 39

მმართველობა და სტრუქტურა 39

საქმიანობის მიმოხილვა 40

ფინანსური შედეგები 41

განვითარების გეგმები 42

კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები 42

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ 42

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები 43

საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

ჯგუფის შესახებ

შპს „ლოპოტა“ ჯგუფი შედგება ორი კომპანიისგან: შპს ლოპოტა და შპს ლოპოტა დეველოპმენტი.

შპს „ლოპოტა“ წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2016 წლის 27 დეკემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თუმცა დამფუძნებლების მიერ კაპიტალში აქტივები შეტანილ იქნა და შესაბამისად, საოპერაციო საქმიანობა დაიწყო 2017 წლის მარტიდან.

სასტუმრო ლოპოტა (შპს ლოპოტა), სტუმრებს მომსახურებას უწევს 2008 წლიდან, თუმცა 2016 წლამდე სასტუმროს ოპერირება ხდებოდა სხვა იურიდიული პირის საშუალებით. სასტუმრო ლოპოტა წარმოადგენს ქართულ ბრენდს. კომპანიის იურიდიული მისამართია თელავის რაიონი, ს. ნაფარეული, საქართველო. კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის სასტუმროს და მასთან დაკავშირებული სხვა სერვისების გაწევა.

შპს ლოპოტამ 2019 წლის 9 ოქტომბერს დააფუძნა 100%-იანი შვილობილი კომპანია - შპს „ლოპოტა დეველოპმენტი“ (შემდგომში შვილობილი კომპანია). მისი ძირითადი საქმიანობა იყო მშენებლობა, კერძოდ, მშობელი კომპანიის დაკვეთით სამშენებლო პროექტების შპს „ლოპოტას“ ტერიტორიაზე აშენება, თუმცა 2020 წლის მაისში შვილობილმა კომპანიამ დროებით შეაჩერა საქმიანობა, დაგროვილი აქტივები მიაწოდა მშობელ კომპანიას და სამშენებლო სამუშაოები გააგრძელა მშობელმა კომპანიამ. შესაბამისად, შპს ლოპოტა დეველოპმენტს არ განუხორციელებია არსებითი საოპერაციო საქმიანობა 2020 წლის განმავლობაში.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ჯგუფი ვალდებულია მოამზადოს და წარადგინოს კომპანიის ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება. ჯგუფის შვილობილ კომპანიას 2020 წლის განმავლობაში არ განუხორციელებიათ არსებითი ოპერაციები და საანგარიშგებო წლის ბოლოს არ ფლობდნენ არსებით აქტივებსა და ვალდებულებებს. ჯგუფის 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება არსებითად არ განსხვავდება კომპანიის 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგებისგან და შესაბამისად, კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება გამოხატავს კომპანიის ინდივიდუალურ მმართველობის ანგარიშგებას.

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია შპს „ლოპოტა ინვესტმენტი“, ხოლო კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი პირია ეკატერინე ბატიაშვილი.

მმართველობა და სტრუქტურა

ჯგუფის მმართველი ორგანოა პარტნიორთა კრება. ჯგუფს ხელმძღვანელობს დირექტორი.

ჯგუფის ორგანიზაციული სტრუქტურა შემდეგია:



მმართველობა და სტრუქტურა (გაგრძელება)

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფში დასაქმებული იყო 160-მდე თანამშრომელი, საიდანაც 83% არის საოპერაციო პერსონალი, ხოლო 17% წარმოადგენს ადმინისტრაციულ კადრებს. აღსანიშნავია, რომ საკადრო პერსონალის მნიშვნელოვანი შემცირება არის გამოწვეული Covid 19 პანდემიის შედეგად.

საქმიანობის მიმოხილვა

ჯგუფის ძირითადი საქმიანობის სფეროს წარმოადგენს სასტუმრო და მასთან დაკავშირებული სერვისები. სასტუმროში განთავსებულია:

- 186 სასტუმრო ნომერი;
- 4 ღია აუზი;
- 2 ღია ბუნგალო;
- 1 ბარი;
- 1 კლუბი;
- 1 დახურული აუზი;
- 3 რესტორანი;
- სპა და ა.შ.

სასტუმრო ემსახურება როგორც ფიზიკურ, ასევე კორპორატიულ კლიენტებს. ჯგუფის მიერ შემოთავაზებული პროდუქტებისა და სერვისების ჩამონათვალი:

- სასტუმროში განთავსება;
- სარესტორნო მომსახურება;
- საკონფერენციო და სხვა ღონისძიებების გამართვა;
- სპა მომსახურება;
- სათავგადასავლო ტურები;
- ღვინის დეგუსტაცია.

პროდუქტებისა და სერვისების გაყიდვა ხორციელდება სხვადასხვა არხების მიხედვით:

- ინტერნეტ გაყიდვებით (ჯგუფი იყენებს რამდენიმე პლატფორმას);
- სატელეფონო გაყიდვებით;
- პირდაპირი კორპორატიული გაყიდვებით;
- ტურისტულ კომპანიებთან თანამშრომლობით.

2020 და 2019 წლის მონაცემებით შემოსავლები პროდუქტების მიხედვით იყოფა შემდეგნაირად:

	2020	2019
ოთახები	5,755,900	13,755,823
საჭმელი და სასმელი	3,001,409	6,448,193
გასართობი და სარელაქსაციო აქტივობები	229,519	907,159
სხვა	171,598	442,782
	9,158,426	**21,553,957**

ლოპოტა სპა რეზორტის სტუმრების ეროვნულ მიქსში მნიშვნელოვანი ცვლილება იკვეთება გასულ წლებთან შედარებით, 2020 წელს სტუმრების 87.5% იყო ქართველი. შიდა ტურიზმის ასეთი მაღალი მაჩვენებელი გამოწვეულია Covid-19-ის პანდემიით (Covid 19-ის გავრცელების პრევენციის ხელშეწყობის მიზნით, ქვეყნის სახმელეთო საზღვრები იყო დაკეტილი, ხოლო საჰაერო საზღვრის გახსნა მოხდა წლის ბოლო კვარტლიდან) ვინაიდან 2019 წელს აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენდა მხოლოდ 44%-ს.

საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

2020 წლის სტუმრების ქვეყნების მიხედვით სეგმენტაცია შემდეგნაირად შეიძლება იქნეს წარმოდგენილი (ძირითადი 10 ქვეყანა):

	2020	2019
საქართველო	87.5%	44%
საუდის არაბეთი	3%	23%
რუსეთი	1.5%	10%
აზერბაიჯანი	0.88%	1.6%
აშშ	0.77%	1%
სომხეთი	0.75%	0.98%
უკრაინა	0.46%	1%
ირანი	0.34%	0.19%
გერმანია	0.32%	0.36%
ისრაელი	0.3%	2.5%

სასტუმრო ლოპოტასთვის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს მომხმარებელთა კმაყოფილება.

ამისათვის ჯგუფი ცდილობს თითოეულ თანამშრომელს დაანახოს მათი როლის მნიშვნელობა სტუმრების კმაყოფილების ზრდაში და შესაბამისად, ჩვენი დაჯილდოების პროგრამები ეფუძნება სტუმრებისგან მიღებულ ინდივიდუალურ უკუკავშირს (საბონუსე პროგრამა, თვის და წლის საუკეთესო თანამშრომლის პროგრამა).

თანამშრომლებს მუდმივად უტარდებათ „სერვისთან“ დაკავშირებული ტრენინგები და ჯგუფი თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებაში ახორციელებს ინვესტიციებს (2020 წლის საანგარიშგებო პერიოდში Covid 19-ის პანდემიიის გამო, მოხდა ხარჯების დაზოგვა და ტრენინგებთან დაკავშირებით არსებითი ხარჯის გაწევა არ მომხდარა).

ფინანსური შედეგები

2020 წელს სასტუმროში სრულად ფუნქციონირებდა 186 ნომერი.

ცხრილის სახით მოცემულია კომპანიის საქმიანობის ამსახველი რამდენიმე სტატისტიკური მონაცემი:

	2020	2019
სასტუმრო ოთახების საშუალო წლიური დატვირთულობა*	35%	59%
სულ სტუმრების რაოდენობა	41,829	79,915
სულ გაყიდული ოთახები	24,080	40,030
ნომრის საშუალო დღიური ღირებულება (ADR) ლარი**	184	286
ნომრის საშუალო დღიური ღირებულება (ADR) დოლარი (ეროვნული ბანკის კურსის შესაბამისად 31.12.2020)	56	99

*სასტუმროს გაყიდულ ოთახების რაოდენობა გაყოფილი (სრული დღეების რაოდენობა X არსებული ოთახების რაოდენობაზე) X %-ზე

**ნომრის საშუალო დღიური ღირებულება (ADR): (შემოსავალი სასტუმროს ოთახებიდან-საუზმის კვების მომსახურება) / გაყიდული ოთახების რაოდენობაზე

ჯგუფის ძირითადი საოპერაციო ხარჯების სტრუქტურა შემდეგია:

	2020	2019
ხელფასი და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(4,150,488)	(6,798,596)
ცვეთა და ამორტიზაცია	(3,474,066)	(3,220,449)
მარაგების ხარჯი	(2,501,599)	(4,113,967)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(2,178,477)	(4,544,229)

ფინანსური შედეგები (გაგრძელება)

კომპანია აფასებს საქმიანობის ფინანსურ შედეგებს შემდეგი ძირითადი მაჩვენებლებით:

	2020	2019
საოპერაციო მოგების მარჟა	(33%)	13%
წმინდა მოგების მარჟა	(170%)	(13%)
უკუგება კაპიტალზე	(161%)	(11%)
უკუგება აქტივებზე	(21%)	(4%)

ფინანსური მაჩვენებლების განმარტებები:

საოპერაციო მოგების მარჟა = საოპერაციო მოგება / ამონაგები

წმინდა მოგების მარჟა = წმინდა მოგება / ამონაგები

უკუგება კაპიტალზე = წმინდა მოგება / მთლიანი კაპიტალი

უკუგება აქტივებზე = წმინდა მოგება / მთლიან აქტივები

განვითარების გეგმები

ჯგუფი მუდმივად გეგმავს სამომავლო განვითარებას. COVID-19 პანდემიის მიუხედავად განვითარების პროცესი არ შეჩერებულა. 2021 წლის ივლისში კომპლექსს შეემატება რიგით მე-15 სასტუმრო კორპუსი. ეს იქნება ტბის პირას განთავსებული პრემიუმ-კლასის 51-ნომრიანი სასტუმრო, რომელიც ლოპოტას ნომრების რაოდენობას 236-მდე გაზრდის. სასტუმროს უპირატესობა არის მაღალი კატეგორიის ნომრები, მისი მდებარეობა და ტბის ულამაზესი ხედები. სასტუმრო კორპუსთან იფუნქციონირებს აუზიც, რომელიც იქნება მეხუთე ღია აუზი ლოპოტას ტერიტორიაზე. აუზთან შენდება ბუნგალო.

2021 წლის ბოლომდე დაგეგმილია კიდევ ერთი მასშტაბური ობიექტის გახსნა - რესტორანი ღია და დახურული სივრცეებით. აღნიშნულ რესტორანთან იქნება აუზი, სადაც მოეწყობა წვეულებები და კორპორატიული ღონისძიებები. რესტორანი გამორჩეული იქნება ასევე იმით რომ იქვე მოეწყობა ტბა.

2021 წლის ივნისში ასევე იგეგმება საერთაშორისო სტანდარტებით მოწყობილი კალათბურთის მოედნის გახსნა. ხოლო 2021 წლის ბოლომდე ტერიტორიას შეემატება სამი კორტი - ერთი დახურული და ორი ღია კორტი თავისი სპორტდარბაზით და სპორტული ღონისძიებისთვის საჭირო აღჭურვილობით.

მომდევნო 2 წლის განმავლობაში დაგეგმილია დამატებითი სასტუმრო კორპუსის, ბოულინგის, საბილიარდოს, ჯაზ კლუბის და აკვაპარკის მშენებლობა. პროექტების კონცეფცია უკვე ჩამოყალიბებულია, თუმცა მშენებლობა ჯერ არ დაწყებულა.

აღსანიშნავია, ასევე ის ფაქტიც რომ ჯგუფმა სს თიბისი ლიზინგთან გააფორმა შეთანხმება, რომლის ფარგლებშიც 2021 წლის ბოლომდე უნდა მოხდეს 460 კილოვატიანი მზის ელექტროსადგურის მშენებლობა. შესაბამისი ტექნიკის და აღჭურვილობის ლიზინგით შეძენის დაფინანსება მოხდება 7 წლის განმავლობაში.

აღნიშნული პროექტების განხორციელება საშუალებას მოგვცემს საქართველოში შევქმნათ სრულფასოვანი საკურორტო ტიპის სასტუმრო, რომელიც მოემსახურება სტუმრებს მთელი მსოფლიოდან და შექმნის დამატებით სამუშაო ადგილებს.

კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები

2020 წლის განმავლობაში ჯგუფის მიერ არ მომხდარა კვლევის და განვითარების სამუშაოების ჩატარება, რომელიც უკავშირდება ინოვაციური ღონისძიებების დანერგვას ახალი ან უკვე არსებული პროდუქტების განვითარების ან გაუმჯობესების მიზნით.

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ჯგუფის მიერ არ მომხდარა საკუთარი აქციების შეძენა და გასხვისება.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

რისკი თანდაყოლილი მოვლენაა ჯგუფის საქმიანობისთვის, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რეგულარული ღონისძიებებით, როგორიცაა რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და ყოველდღიური მონიტორინგი.

ჯგუფის გამართული ფუნქციონირებისთვის აუცილებელია სასტუმროს ბიზნესის საქმიანობასთან დაკავშირებული საოპერაციო და ფინანსური რისკების განსაზღვრა, შეფასება და სწორი მენეჯმენტი.

საანგარიშგებო პერიოდში ჯგუფი დადგა დიდი რისკისა და გაურკვევლობის წინაშე, რაც გამოწვეული იყო COVID-19-თან დაკავშირებული გლობალური პანდემიით. მნიშვნელოვნად შემცირდა კომპანიის საოპერაციო შემოსავლები, შესაბამისად შემცირდა ფულადი ნაკადების შემოდინება.

ჯგუფის ხელმძღვანელობამ განახორციელა დაუყოვნებელი ქმედებები იმისთვის რომ COVID -19 პანდემიის გავლენა ჯგუფზე ყოფილიყო მინიმალური და ჯგუფს შემდგომში გაეგრძელებინა ფუნქციონირება:

• თანამშრომელთა ხელფასები შემცირდა 2020 წლის მაისიდან, სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, ჯგუფმა მარტი-აპრილის თვეში არ შეამცირა დასაქმებულთა ხელფასები;

• ბანკების მიმართ არსებული დაუფარავი სესხების პირობები და გრაფიკი გადაიხედა, დაწესთა საშეღავათო პერიოდი ყველა საბანკო და სალიზინგო ვალდებულებაზე;

• 2020 წლის 24 მარტიდან 21 მაისის ჩათვლით სასტუმრო ფუნქციონირებდა საკარანტინე ზონად, 21 მაისიდან 15 ივნისის ჩათვლით სასტუმრო ემზადებოდა გახსნისთვის და სტუმრების მისაღებად, 15 ივნისიდან წესებისა და რეკომენდაციების დაცვით სასტუმრომ აღადგინა საოპერაციო საქმიანობა.

• COVID-19-ის, ბიზნესზე უარყოფითი გავლენის შესამცირებლად მთავრობამ 2020 წელს გამოსცა განკარგულება, რომლის მიხედვითაც მოხდა გარკვეული საგადასახადო შეღავათების დაწესება კომპანიებისათვის. მთავრობის მიერ გამოცემული ბრძანების მიხედვით, სასტუმრო ბიზნესი სრულად გათავისუფლდა 2019 წლის ქონების გადასახადის გადახდისგან. 12 თვე გათავისუფლდა 750 ლარის ფარგლებში დარიცხული ხელფასის საშემოსავლოს გადახდისგან. გადავადდა 6 თვის საშემოსავლო გადასახადის გადახდის ვალდებულება 2021 წლის იანვრამდე, თუმცა 2021 წლის იანვრის ბრძანებით, სასტუმრო სექტორს სრულად ჩამოეწერა აღნიშნული საშემოსავლო გადასახადი და გათავისუფლდა 2020 წლის ქონების გადასახადისგან. აღნიშნულმა მხარდაჭერამ მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია სასტუმროს.

საოპერაციო რისკები

სასტუმროს ძირითად საოპერაციო რისკებად შეიძლება განვიხილოთ სტუმრებისა და პერსონალის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და პირადი ქონების დაცვა, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოება, მობინადრეთა და პერსონალის სწრაფი ევაკუაცია, მობინადრეთა სიცოცხლისა და პირადი ქონების დაცვა, სასტუმროში შეღწევის შეზღუდვა, ვიდეო კონტროლი, ასევე მობინადრეთა კვებასა და სასმელ წყალზე უსაფრთხოება, ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფა.

რისკის მართვა:

ყოველივე ზემოაღნიშნულის მისაღწევად სასტუმროს გააჩნია 24 საათიანი ცოცხალი დაცვა. დაცვის ყველა თანამშრომელი სისტემატურად გადის ტრენინგებს, როგორც პირველადი დახმარების აღმოჩენის საკითხებში, ასევე საგანგებო სიტუაციებში მოქცევის წესების დასაცავად. სასტუმრო აღჭურვილია ვიდეო სამეთვალყურეო კამერებით, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემებით და ტექნიკით.

სტუმრებისთვის მაღალი ხარისხის საკვების და სასმელის მისაწოდებლად სასტუმრო თანამშრომლობს მხოლოდ შესაბამისი სერტიფიკატების მქონე დისტრიბუტორებთან. ასევე ჯგუფი თითქმის ყოველდღიურად ახორციელებს სხვადასხვა დასახელების ეკოლოგიურად სუფთა მაღალი ხარისხის პროდუქციის შემენა-ტრანსპორტირებას საქართველოს რეგიონიდან. ჯგუფმა დაიწყო მუშაობა HACCP-ის საერთაშორისო კვების სტანდარტების დანერგვაზე, რომელიც სრულად დაინერგება 2021 წლის ბოლომდე.

ასევე, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროცესი რაც სასტუმროს ინდუსტრიაში შეიძლება განვიხილოთ არის კომპანიის სახელის (ბრენდი) დაცვა. ჯგუფის ხელმძღვანელობა გამუდმებით მუშაობს ჯგუფის რეპუტაციისა და მაღალი სტანდარტების დამყარებაზე. ამისთვის ჯგუფი მუდმივად ზრუნავს მისი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

ფინანსური რისკები

საოპერაციო რისკების გარდა, ჯგუფი საქმიანობის პროცესში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშეც.

ჯგუფის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო რისკები.

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. ჯგუფის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები.

ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. ჯგუფი საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს. ფინანსური მოთხოვნების საკრედიტო ანალიზი მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში (შენიშვნა 4).

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის მენეჯმენტი ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე. ჯგუფი ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს ჯგუფის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ფინანსური ინსტრუმენტების ლიკვიდურობის ანალიზი მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში (შენიშვნა 4).

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად. ჯგუფის საბაზრო რისკი წარმოიშვება პროცენტის მატარებელი და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების და ვალუტის კურსის ცვლილებებთან კავშირში. ჯგუფი დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგან გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები, თუმცა ჯგუფის ხელმძღვანელობის შეფასებით აღნიშნული რისკი არ არის არსებითი, რადგან საპროცენტო განაკვეთის ცვლადი ნაწილი მიბმულია ლიბორზე (LIBOR), რომელიც წარსული პერიოდის ანალიზით არ ხასიათდება მნიშვნელოვანი რყევებით. სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვლებადობის გამო. ჯგუფი არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის. ფინანსური ინსტრუმენტების სავალუტო ანალიზი მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში (შენიშვნა 4).

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 30 ივნისს შემდეგი პირების მიერ:

ფინანსური დირექტორი _____ გ. ქევანიშვილი

დირექტორი _____ ე. ბატიაშვილი

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

ფინანსური რისკები

საოპერაციო რისკების გარდა, ჯგუფი საქმიანობის პროცესში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშეც.

ჯგუფის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო რისკები.

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. ჯგუფის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები.

ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. ჯგუფი საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს. ფინანსური მოთხოვნების საკრედიტო ანალიზი მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში (შენიშვნა 4).

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის მენეჯმენტი ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე. ჯგუფი ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს ჯგუფის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ფინანსური ინსტრუმენტების ლიკვიდურობის ანალიზი მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში (შენიშვნა 4).

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად. ჯგუფის საბაზრო რისკი წარმოიშვება პროცენტის მატარებელი და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების და ვალუტის კურსის ცვლილებებთან კავშირში. ჯგუფი დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგან გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები, თუმცა ჯგუფის ხელმძღვანელობის შეფასებით აღნიშნული რისკი არ არის არსებითი, რადგან საპროცენტო განაკვეთის ცვლადი ნაწილი მიბმულია ლიბორზე (LIBOR), რომელიც წარსული პერიოდის ანალიზით არ ხასიათდება მნიშვნელოვანი რყევებით. სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. ჯგუფი არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის. ფინანსური ინსტრუმენტების სავალუტო ანალიზი მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში (შენიშვნა 4).

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 30 ივნისს შემდეგი პირების მიერ:

ფინანსური დირექტორი _____ გ. ქევანიშვილი

დირექტორი _____ ე. ბატიაშვილი